



## ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

### ბრძანება



KA000006806624219

ქ. ლაგოდეხი

№ 73-კ

27 / დეკემბერი / 2019 წ.

### ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის ფულადი ჯილდოს განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის და მე-17 მუხლის შესაბამისად.

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაკისრებული ფუნქციების ზედმიწევნით და სანიმუშოდ შესრულებისათვის, კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, გაიცეს ფულადი ჯილდო, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის საფუძველზე, დანართის შესაბამისად.
2. ბრძანების ფინანსურ ნაწილზე კონტროლი დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს.
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/  
შტამბადასმულია  
ელემენტრონულად

კარლო ჯამბურია